

ქართული ენა

VI კლასი

მოსწავლის რვეული

_____ სკოლის

მოსწავლე _____

თსროპითი და კითხვითი წინადადეგები

① დასვით სასვენი ნიშნები.

1. რა ქნან თამაშია მთავარი
2. ეზოში დარბიან ხტიან იცინიან
3. ჩემო ფერადო ჩიტებო
4. რა არის მთავარი
5. ნუთუ ცხოვრება ზღაპარია

სინონიმები

① გადმოეცით ერთი სიტყვით ქვემოთ მოცემული წინადადეგების შინაარსი. გამოიყენეთ სიტყვები: დაფქვა, დაამღერა, წამოსცდა, წამოროშა.

1. ყველა საიდუმლო გაამჟღავნა. _____
2. ყველაფერი თქვა, რაც იცოდა. _____
3. თავისდა უნებურად თქვა ყველაფერი. _____
4. დაუფიქრებლად, უადგილოდ თქვა. _____

② დაწერეთ, რატომ აქვთ უარყოფითი ელფერი „თქმასთან“ შედარებით სიტყვებს: წამოსცდა, წამოროშა, წამოაყრანტალა, დაფქვა.

⑧ ა) შეადარეთ მსგავსი მნიშვნელობის, მაგრამ განსხვავებული შინაარსობრივი ელფერის სიტყვები.

1. ლაპარაკობს – ლაყბობს.
2. ამბობს – ტლიკინებს.
3. ლაპარაკობს – ჭარტალებს.
4. საუბრობს – ლაქლაქებს.

ბ) განმარტეთ თითოეული მათგანი.

ბრძანებითი, ქახილისა და კითხვა-ქახილის წინადადებები

① დასვით სასვენი ნიშნები. წინადადების შინაარსი მითითებულია ფრჩხილებში.

1. ბიჭები მეზობელ სოფელში გადავიდნენ (ფაქტი)
2. სანდრო, შინაურებს გაურბიხარ (კითხვა)
3. ბიჭი გზას მარტო უნდა გაუდგეს (კითხვა და გაკვირვება)
4. სანდრო მხოლოდ ბოხვერას ენდობა (დანანება)
5. მას შენთვის არაფერი უთქვამს (კითხვა)

② პირველ სავარჯიშოში მოცემული თხრობითი და კითხვითი წინადადებები შეცვალეთ ისე, რომ მიიღოთ კითხვა-დახილის წინადადებები.

③ შეადგინეთ ბრძანებითი და დახილის წინადადებები და დასვით სათანადო სასვენი ნიშნები.

არსებით სახელთა შინაარსობრივი ჯგუფები

① თითოეულ რიგში ერთი ზედმეტია. გაარკვიეთ, რომელია ეს სიტყვა. თქვენი პასუხი დაასაბუთეთ.

1. ყუნწი, ბალი, სანდრო, ჩირგვი. _____

2. ნაგაზი, ბალანი, ქოფაკი, ძალღი. _____

3. დედა, ბოხვერა, ბაბუა, კაცი. _____

4. ჯოგი, ხროვა, ლაშქარი, მცველი. _____

② ა) ამოიწერეთ მხოლოდ კრებითი არსებითი სახელები და განმარტეთ თითოეული მათგანი.

ფრინველები, ერი, ადამიანები, ხილი, ჩირგვნარი, მეზობლობა, ხალხი, გუნდი.

ბ) შეადგინეთ წინადადებები კრებითი არსებითი სახელების გამოყენებით.

③ დაწერეთ, საზგასმული სიტყვა კონკრეტული არსებითი სახელია თუ – კრებითი.

1. ხეს ვაშლი ასხია. _____


2. ხიდან ერთი ვაშლი ჩამოვარდა. _____

3. მინაზე გამხმარი ფოთოლი ეყარა. _____

4. ხიდან ბოლო ყვითელი ფოთოლი ჩამოვარდა. _____

④ შეარჩიეთ სიტყვები კრებითი სახელებიდან კროსვორდის შესავსებად.

ჯგუფი, კოლტი, თემი, არვე, ტომი, რემა, ბანდა, ნახირი, გუნდი, ფარა



⑤ სადაც შესაძლებელია, ძირეული სიტყვებისაგან აწარმოეთ აბსტრაქტული, გეოგრაფიული ან კნინობით-ალერსობითი სახელები შესაბამისი აფიქსების დართვით.

ძირეული სიტყვები	აბსტრაქტული	გეოგრაფიული	კნინობით-ალერსობითი
ფრანგი	_____		_____
კაცი	კაც-ობა	_____	კაც-უნა
და			
ფართო			
მამაცი			
ნინო			
ხევსური			



1. რომელია ნივთიერებათა სახელი?

ა) ზღვა; ბ) წიგნი; გ) ნავთი.

2. რომელ წინადადებაშია აბსტრაქტული არსებითი სახელი?

ა) ახალგაზრდობა ქუჩებს მოეფინა;
ბ) ახალგაზრდობა თბილისში გაატარეს;
გ) ახალგაზრდობა კარგად გაერთო.

3. რომელია კრებითი არსებითი სახელი?

ა) ერი; ბ) ბუნება; გ) სამშობლო.

4. რომელია სწორი?

ა) ხალხები შეიკრიბა; ბ) ხალხი შეიკრიბნენ; გ) ხალხი შეიკრიბა.

5. რომელ წინადადებაშია სიტყვა ვაშლი კრებითი არსებითი სახელი?

ა) ბიჭმა ვაშლი ჩაკბიჩა; ბ) ხემ ვაშლი მოისხა; გ) ვაშლი ხილია.

6. რომელია სწორი?

ა) ფართო – სიფართოე; ბ) კობტა – სიკობტავე; გ) ყრუ – სიყრუვე.

7. რომელია არასწორი?

ა) ვიწრო – სივიწროე; ბ) ცრუ – სიცრუე; გ) ბრმა – სიბრმავე.

8. რომელია არასწორი?

ა) ნათესავი – ნათესავობა; გ) გულუხვი – გულუხვობა; გ) თავი – თაობა.

ტესტი



1. რას ნიშნავს „ქართული საქართველოს სახელმწიფო ენა“?

- ა) ქართული მხოლოდ ხელისუფლების, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის სამუშაო ენაა;
- ბ) ქართული მხოლოდ განათლების, ხელოვნებისა და მეცნიერების ენაა;
- გ) ქართული ხელისუფლების, პრესის, რადიო-ტელევიზიის, განათლების, ხელოვნებისა და მეცნიერების ენაა.

2. რა არის სალიტერატურო ენა?

- ა) სამწერლობო ენა;
- ბ) მხოლოდ ხელისუფლების სამუშაო ენა;
- გ) მხოლოდ ღვთისმსახურების ენა.

3. რა არის დიალექტი ანუ კილო?

- ა) საერთაშორისო ენა;
- ბ) ამა თუ იმ კუთხისათვის დამახასიათებელი მეტყველება;
- გ) სალიტერატურო ენა.

3. საქართველოში გავრცელებული ქართული ენის დიალექტები აღნიშნეთ ✓-ით, საქართველოს ფარგლებს გარეთ გავრცელებული დიალექტები კი – +-ით.

- | | | |
|------------------------------------|------------------------------------|-------------------------------------|
| <input type="checkbox"/> რაჭული | <input type="checkbox"/> ინგილოური | <input type="checkbox"/> მოხეური |
| <input type="checkbox"/> იმერხეული | <input type="checkbox"/> კახური | <input type="checkbox"/> ფერეიდნული |
| <input type="checkbox"/> იმერული | <input type="checkbox"/> ჯავახური | <input type="checkbox"/> აჭარული |

① ა) წაიკითხეთ ტექსტი.

პატარა საქართველო სპარსეთში

რამდენიმე საუკუნეა, რაც ფერეიდნელი ქართველები გარშემორტყმულნი არიან სპარსელებით. მიუხედავად ამისა, მათ შეუნარჩუნებიათ ქართული ენა და ბევრი წინანდელი ზნე-ჩვეულებანი. ქალები მხოლოდ ქართულ ენაზე ლაპარაკობენ. კაცებმა იციან სპარსული, მაგრამ ქართულს ხმარობენ ყველგან – შინ და გარეთ.

პირდაპირი და ირიბი ნათქვამი

① აქციეთ პირდაპირი ნათქვამი ირიბ ნათქვამად.

1. როგორ გადაურჩი? – უკვირდა დედას.

2. მართლა ცოცხალია ჩემი ბიჭი?! – არ სჯეროდა ბაბუას.

3. არ გაეკარო დაგესლილ ძაღლს! – გააფრთხილა ბაბუამ დედა.

4. ის ნაგაზი ცოფიანი იყო? – ათასჯერ დასვა კითხვა სანდრომ.

5. უკუდო ძაღლი არსებობს?! – ყვიროდა ნუნუ.

② აქციეთ ირიბი ნათქვამი პირდაპირ ნათქვამად.

1. სანდრო სულ იმეორებდა, რომ ძაღლს კუდი ნაჭრილი ჰქონდა.

2. სანდროს უკვირდა, სოფლის ბოლოში როგორ მოხვდა ბოხვერა.

3. სანდრო ნუნუს უმტკიცებდა, რომ ის სხვა ძაღლი იყო.

4. ნუნუს არ ახსოვდა, რა ფერის იყო ძაღლი.

5. სანდროს არ სჯეროდა, რომ ცოფიანი ძაღლი ბაღში იყო.

ანტონიმები

① დაწერეთ თხზულება საპირისპირო თვისებების მქონე ორ ადამიანზე, მაგალითად: ძუნწა და ხელგაშლილზე; გამრჯესა და ზარმაცზე და სხვა. გამოიყენეთ ანტონიმები.

ფრაზეოლოგიზმები

① ა) აღადგინეთ ფრჩხილებში მოცემული განმარტებების მიხედვით ფრაზეოლოგიზმებში გამოტოვებული სიტყვები: გადალობვა, გაკაფვა, ჩვენება, გაღევა, პოვნა.

ნიმუში: გზის გაკაფვა (ხელის შეწყობა, შველა, დახმარება)

_____ (მოგზაურობის დასრულება)

_____ (ჭკუის სწავლება)


_____ (საშუალების გამონახვა მიზნის მისაღწევად)

_____ (ხელის შეშლა)


ბ) შეადგინეთ წინადადებები ფრაზეოლოგიზმების გამოყენებით.

ნიმუში: საუბარში გზა შეუმჩნევლად გაილია.


② ა) აღადგინეთ ფრაზეოლოგიზმებში გამოტოვებული სიტყვა.



გამორჩქენა (სხვისი ნათქვამის კარგად გაგონება).
მოკვრა (უცაბედად გაგონება).
თხოვება (ყურადღების მიქცევა).
გაპანტურება (მონდომება, ზრუნვა).



გამოდება (მეტისმეტი ცდა).
მოჭრა (შერცხვენა).
აგდება (გამასხარავება, პატივის აყრა).



გასწორება (უშიშრად, მოურიდეblად ყურება).
მოტყუება (წაძინება).
მოხუჭვა (სიფხიზლის მოდუნება).
ახელა (გამორკვევა, სიმართლის დანახვა, სწორ გზაზე დაყენება).
არიდება (ყურადღების მიუქცევლობა).
მოკვრა (ოდნავ დანახვა).

ბ) შეადგინეთ რამდენიმე წინადადება ფრაზეოლოგიზმების გამოყენებით.

⊗ მოუძებნეთ ფრაზეოლოგიზმებს მნიშვნელობები.

- ძალი არ გაიგდება გარეთ.
- ძალი პატრონს ვერ ცნობს.
- ძალის ყბა აქვს გამობმული.
- ნელზე ხმალი არტყია.
- ნელზე ფეხს იდგამს.
- ყბედია.
- ძალიან უჭირს.
- საშინელი არეულობაა.
- მეტად ცუდი ამინდია.
- ვაჟკაცია.

ტესტი



1. რომელია ფრაზეოლოგიზმი?

- ა) უცხო ქვეყნის წარმომადგენლები გაემგზავრნენ;
- ბ) მათ ქვეყნის ინტერესები დაიცვეს;
- გ) ის ქვეყნის ყბაში ჩავარდა.

2. რომელი ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობაა – დაეხმარა?

- ა) მხარი მისცა; ბ) მხარი მოსტეხა; გ) მხარი ექცა.

3. რომელი ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობაა – დადუმდა?

- ა) პირზე კლიტე დაიდო;
- ბ) პირიდან ცეცხლი ყარა;
- გ) პირი გაისველა.

4. რომელი ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობაა – სასიხარულო დღე დაუდგა?

- ა) კოვზი ნაცარში ჩაუვარდა;
- ბ) თვალი გაახილა;
- გ) აღდგომა გაუთენდა.

თანხმომავანფუქიანი უკუმშველი არსებობის სახელები

① ნიმუშის მიხედვით მხოლოდობისა და მრავლობით რიცხვში აბრუნეთ: სურათი, შველი

მხ. რ	მრ. რ	მრ. რ
სახ. გულ-ი	გულ-ებ-ი	გულ-ნ-ი
მოთხრ. გულ-მა	გულ-ებ-მა	გულ-თა
მიც. გულ-ს	გულ-ებ-ს	გულ-თა
ნათ. გულ-ის	გულ-ებ-ის	გულ-თა
მოქმ. გულ-ით	გულ-ებ-ით	--
ვით. გულ-ად	გულ-ებ-ად	--
წოდ. გულ-ო	გულ-ებ-ო	გულ-ნ-ო

სახ. სურათ-ი

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

სახ. შველ-ი

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

ტესტი



1. რომელ სიტყვას მოუდის ორი მ მოთხრობით ბრუნვაში?

ა) მორი; ბ) დოლი; გ) ღომი.

2. რომელ სიტყვას მოუდის ორი ს მიცემით ბრუნვაში?

ა) ღარი; ბ) თასი; გ) ნამი.

3. რომელი სიტყვა არ იკუმშება?

ა) კოშმარი; ბ) იანვარი; გ) საყდარი.

4. რომელ სიტყვას მოუდის ორი ნ მრავლობით რიცხვში?

ა) დღე; ბ) ჩიტი; გ) ბატკანი.

5. რომელ სიტყვას მოუდის ორი თ მრავლობით რიცხვში?

ა) ზარი; ბ) ბურთი; გ) ატამი.

თანხმომავანფუქიანი კუმშვადი სახელეზი

① გაარკვეთ ფუძე სიტყვებისა:

მგელი მგელ-მა, ფუძე – მგელ-

მარნით _____

მინდვრის _____

მდივნად _____

ირმით _____

② ა) აღადგინეთ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები სათანადო ბრუნვისა და რიცხვის ფორმით. საჭიროების შემთხვევაში დაურთეთ თანდებულები.

გნოლა

(დედაჩემი) _____ ჩემი საყვარელი გნოლა ხარი გამიყიდა. მოჯამაგირე უჩიოდა — (უღელი) _____ ეურჩებო. მე კი ძალზე მიყვარდა გნოლა. მეც ვუყვარდი (გნოლა) _____, (კისერი) _____ ვეკიდებოდი, (ბალახი) _____ ვთავაზობდი. არც სხვა (ხარი) _____ გავცვლიდი, მაგრამ რა მექნა! მოვიდა მყიდველი, ჩასჭიდა ხელი წასაყვანად... და უცებ, (ჭიშკარი) _____ გნოლა (ხარი) _____ შემომხვდა ისეთი (თვალეზი) _____, რომ კინალამ იქვე გავიყინე. დღესაც მახსოვს (გნოლა) _____ სამდურავიანი თვალეზი, მისი (თვალი) _____ ღრუბელი (გიორგი ლეონიძე).

ბ) კუმშვადია თუ არა სიტყვა თვალი ბოლო წინადადებაში?

სომხანფუქიანი კვეცადი სახელეზი

① ნიმუშის მიხედვით მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში აბრუნეთ: დედა, სარკე

	მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	ღამე	ღამე-ებ-ი	ღამე-ნ-ი
მოთხრ.	ღამე-მ	ღამე-ებ-მა	ღამე-თა
მიც.	ღამე-ს	ღამე-ებ-ს	ღამე-თა
ნათ.	ღამ-ის	ღამე-ებ-ის	ღამე-თა
მოქმ.	ღამ-ით	ღამე-ებ-ით	--
ვით.	ღამე-დ	ღამე-ებ-ად	--
წოდ.	ღამე-ვ	ღამე-ებ-ო	ღამე-ნ-ო

სახ. დედა

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

სახ. სარკე

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

ნოდ. _____

Ⓐ ა) დაწერეთ მრავლობითი რიცხვის ფორმით.

დღე _____ ღობე _____

მამიდა _____ თუთა _____

რტო _____ ღრე _____

ბ) დაწერეთ რა ცვლილებები ხდება მრავლობით რიცხვში.

Ⓒ ამოწერეთ რევაზ ინანიშვილის მოთხრობიდან „სასაცილო“ ხმოვანფუძიანი სახელები, გაარკვიეთ რიცხვი და ბრუნვა.

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

② აბრუნეთ არსებითი სახელები: ჩაი და კაშნე.

სახ. *ჩაი* _____

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

სახ. *კაშნე* _____

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

② აბრუნეთ საკუთარი სახელები: ქრისტეფორე და როსტია.

სახ. ქრისტეფორე როსტია

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

③ აღნიშნეთ ✓-ით და --ით – არასწორი ფორმები.

- | | | |
|---|------------------------------------|---|
| <input type="checkbox"/> ეთერო! | <input type="checkbox"/> ირაკლიმ | <input type="checkbox"/> თამარ შამათავა |
| <input type="checkbox"/> მერაბი! | <input type="checkbox"/> თამაზ! | <input type="checkbox"/> სულხანმა |
| <input type="checkbox"/> გურამი ლომაშვილი | <input type="checkbox"/> ვახტანგიმ | <input type="checkbox"/> ქისტეფორესი |

④ აბრუნეთ: ექიმი ფალავა, მაესტრო მიქელაძე.

სახ. ექიმ-ი ფალავა მაესტრო მიქელაძე

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

კონკრეტული და აბსტრაქტული არსებობის სახელები

① აწარმოეთ აბსტრაქტული სახელები კონკრეტული არსებითი სახელებისაგან:

ბავშვი _____

მეგობარი _____

დიდი _____

ბრძენკაცი _____

ადამიანი _____

კეთილი _____

ყმანვილი _____

② აბრუნეთ ა-სა და ე-ზე დაბოლოებული თითო-თითო აბსტრაქტული სახელი მხოლოდით რიცხვში.

სახ. _____

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

სახ. _____

მოსხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი წინადადებები

① ქვემოთ მოცემული წინადადებები აქციეთ წართქმით და უკუთქმით ბრძანებით წინადადებებად.

1. მოიგანე რვეული?

წართქმითი ბრძანებითი _____

უკუთქმითი ბრძანებითი არ _____

ნუ _____

2. პური დაჭერი?

წართქმითი ბრძანებითი _____

უკუთქმითი ბრძანებითი არ _____

ნუ _____

② შემოხაზეთ, რომელი განცხადების გამოკვრა აჯობებს თავშეყრის ადგილებში:

ნუ დაანაგვიანებთ!

არ დაანაგვიანოთ!

არ მოსწიოთ!

ნუ მოსწევთ!

თქვენი არჩევანი დაასაბუთეთ წერილობით.

სიტყვის გადატანითი მნიშვნელობა

① ა) გაეცანით ქვემოთ მოცემული სიტყვების პირდაპირ და გადატანით მნიშვნელობებს.

1. ბედაური – კარგი მორბენალი, წვივმაგარი ცხენი;
გადატ. ჯიშისანი, კარგი, სანაქებო ვაჟკაცი.
2. ლოქო – თევზის ერთ-ერთი სახეობა;
გადატ. ზანტი, დონდლო, დოყლაპია.
3. ლომი – მტაცებელი ცხოველი;
გადატ. ღონიერი, უშიშარი, გულადი ადამიანი.
4. მახვილი – წვეტიანი, ბასრი იარაღი;
გადატ. გამჭრიახი; მოსწრებული.
5. ბალღამი – 1. წყლულის ჩირქოვანი სითხე; 2. ნაღველი;
გადატ. ღვარძლი, გესლი, ბოროტება.
7. ბარაქიანი – ხვავრიელი, უხვი.
გადატ. დიდი, ზორბა.

პირველადი და წარმოქმნილი ზედსართავი სახელები

① ა) გამოიცანით, რომელი მტაცებელი ფრინველია დახასიათებული ტექსტში და ჩანერეთ მისი სახელი მითითებულ ადგილებში სათანადო ბრუნვის ფორმით.


ბ) რომელი სიტყვები დაგეხმარათ გამოცნობაში?

* * *

_____ ძლიერი, გულადი და ამპარტავანია. ტანი მოშავო ფერისა აქვს, კისერზე კი ოქროსფერი დაჰკარავს. ნისკარტი აქვს მეტად მაგარი, ბრჭყალები – საშინლად ბასრი და ღონიერი. მისი ბრიალა თვალებიდან ძალა და მამაცობა გამოჩანს. ფრთები აქვს გრძელი და ღონიერი, ფეხები ბრჭყალებამდე თეთრი უმბულით არის შემოსილი. _____ საცხოვრებლად მაღალი, მთიანი ადგილი უყვარს. საცა ერთხელ დაბინავდება, იქ ზამთარ-ზაფხულ ცხოვრობს, ადგილის გამოცვლა მალ-მალე არ იცის. _____ ძალიან სწრაფია. იგი შიშის ზარს სცემს ყველა ფრინველსა და წვრილ ოთხფეხს (იაკობ გოგებაშვილი).

გ) ტექსტში გამოყენებული ზედსართავი სახელები დააჯგუფეთ სქემის მიხედვით.

ნიმუში:



Ⓐ ა) წაიკითხეთ ნაწარმოები ზედსართავი სახელები და დაწერეთ სათანადო ძირეული სიტყვები.

ყოლა-ქონების	უქონლობის	ხელობის	დანიშნულების	ძირეული სიტყვა
ქოთნ-იან-ი	უ-ქოთნ-ო	მე-ქოთნ-ე	სა-ქოთნ-ე	ქოთანი
ვენახ-იან-ი	უ-ვენახ-ო	მე-ვენახ-ე	სა-ვენახ-ე	
ჭურჭლ-იან-ი	უ-ჭურჭლ-ო	მე-ჭურჭლ-ე	სა-ჭურჭლ-ე	
ყვავილ-ოვან-ი	უ-ყვავილ-ო	მე-ყვავილ-ე	სა-ყვავილ-ე	
ჩოხ-ოსან-ი	უ-ჩოხ-ო	მე-ჩოხ-ე	სა-ჩოხ-ე	

ბ) დაუსვით სიტყვებს კითხვები და დაასახელეთ გაარსებული ზედსართავი სახელები.

Ⓒ გამოყავით დეფისით მიმართებით ზედსართავ სახელთა ძირი და მწარმოებლები.

ნასოფლარი ნა-სოფლ-არ-ი

გულადი _____

გუშინდელი _____

მამისეული _____

გულითადი _____

ოთხფეხა _____

Ⓓ აწარმოეთ ზედსართავი სახელები სიტყვებისაგან:

თუ სა-თუ-ო

სასო უ-სასო-ო

იმედი _____

სახლ-კარი _____

საზღვარი _____

ეტლი _____

შარშან _____

გურჯაანი _____

პურ-მარილი _____

სტუმარი _____

დავა _____

ტყე _____

⑤ ა) დააჯგუფეთ –ურ(-ულ) სუფიქსით ნაწარმოები ზედსართავი სახელები მოცემული კითხვების მიხედვით.

მეფური, გურული, გორული, ქალური, ხევსურული, ბავშვური, იმერული, ზღაპრული

როგორი?

მეფ-ურ-ი

სადაური?

გურ-ულ-ი

ბ) იმსჯელეთ, რატომ დაესმის სხვადასხვა კითხვა ერთი და იმავე სუფიქსით ნაწარმოებ ზედსართავ სახელებს.

⑥ ა) დაწერეთ ძირეული სიტყვები, რომლებსაგანაც ნაწარმოებია ქართული ეროვნული ცეკვების სახელწოდებები.

ფალავნური *ფალავანი (ძირეული სიტყვა არსებითი სახელია)* _____

დავლური _____

მობეური _____

ცერული _____

ხანჯლური _____

ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები

① ა) აღადგინეთ ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები, სადაც შესაძლებელია.

დადებითი	ოდნობითი	უფროობითი
დიდი	მო-დიდ-ო	უ-დიდ-ეს-ი
		უწითლესი
	მოგრძო	
	მოტკბო	
მტკიცე		

ბ) დააკვირდით თითოეულის ფუძეს და დაწერეთ, რა ცვლილებები მოხდა.

გ) რომელი ზედსართავი სახელი ვერ აწარმოებს ხარისხის სამივე ფორმას?

② გაარკვიეთ, დანყვილებული შესიტყვებებიდან რომელია არასწორი და გაუსვით ქვეშ ხაზი.

ნიმუში: ყველაზე ულამაზესი თუ ყველაზე ლამაზი?

ყველაზე ფართო თუ ყველაზე უფართოესი?

ყველაზე უმცირესი თუ ყველაზე მცირე?

③ აწარმოეთ უფროობითი ხარისხის ფორმები:

ახალი _____

საინტერესო _____

უცნაური _____

თხელი _____

იისფერი _____

④ მოცემული სიტყვების გამოყენებით აღადგინეთ სათანადო ფორმით რევაზ ინანიშვილის მოთხრობის ნაწყვეტში გამოტოვებული ზედსართავი სახელები: ამსოფლელი, პატარა, სწრაფი, შავი, სპეტაკი, ულამაზესი, ბანიანი, მალალი, ლამაზი.

პაპა კავკასიონის მთებში შეყუყულ ერთ პატარა სოფელში ცხოვრობს. აი, როგორია ეს სოფელი: ძირს _____ მდინარე მიქუხს ლოდებში, მერე _____ კლდეა. იმ _____ კლდის თავზე სოფელია სიპით ნაშენი _____ სახლებით. სოფლის მალლა _____ ღრუბლებია, ღრუბლების მალლა _____ თოვლით დაფარული _____ მწვერვალები. _____ კაცები მონადირეები არიან (რევაზ ინანიშვილი).

ბრუნვის ნიშნის გავრცობა -ა სმონით

① შემოსაზეთ არასწორი ფორმები.

1. მეზობელს და ნათესავს 3. ლობესა და გზას 5. წვიმასა და ქარში
2. მეზობლისა და ნათესავის 4. ლობისა და გზისაკენ 6. წვიმისაგან და ქარისაგან

საზღვრული სიტყვის რიცხვი

① აბრუნეთ:

სახ. ძველ-ი საათ-ებ-ი

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

სახ. ლამაზ-ი დოქ-ებ-ი

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

სახ. პატარა მდინარე-ებ-ი _____

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

ტირე გამოტოვებული სიტყვის ნაცვლად წინადადებაში


① ჩასვით ტირე საჭირო ადგილას.

1. კარგი ცხენი დებს არ ირტყამს და კარგი ხარი შოლტსაო.
2. პირველი ნახვა ცნობაა, მეორე ნახვა ძმობა.
3. სახელი სჯობს ქონებასა და უფლება მონებასა.
4. სიტყვა ადვილია, ქმნა კი ძნელი.
5. ყველაფერი დროს ელის, დრო კი არაფერსაო.
6. შავი ცხენი ბანვით მოკლეს, თეთრი უბანვლობიათაო.

რთული სიტყვები

① ა) დააჯგუფეთ სქემის მიხედვით სიტყვები:

შვიდქიმიანი, ათასი, კვალი, ხარისხი, ფიცხი, გულიანი, პოეტური, დედიკო, მეშვიდე, გულფიცხი, ერისთავი.



ბ) გარკვიეთ, რომელი მეტყველების ნაწილია თითოეული სიტყვა.

② ა) ამოიწერეთ ისეთი ფუძეგაორკეცებული რთული სიტყვები, რომელთა შემადგენელ ნაწილებს დამოუკიდებელი მნიშვნელობები აქვთ.

გულდაგულ, უზარმაზარი, ლაქლაქი, ნაბიჯ-ნაბიჯ, კნანაკუნნი, სხვადასხვა, ფერად-ფერადი, რაკრაკი, კარდაკარ, თუხთუხი, ახლო-ახლო

③ ა) ნიმუშის მიხედვით შეადგინეთ რთული სიტყვები და მიუწერეთ, რომელი მეტყველების ნაწილია თითოეული რთული სიტყვა.:

I.

- ჯანი
- ტანი
- პირი
- გზა
- გული
- ბასრი
- ჯვარედინი
- წრფელი
- წერნეტი
- მრთელი

II.

- ტაში
- ჩოხა
- სიძე
- ცვარი
- ბატონი
- პატარძალი
- ნამი
- პატრონი
- ფანდური
- ახალუხი

ჯანმრთელი – ზედსართავი სახელი ტაშ-ფანდური – არსებითი სახელი

④ დაწვილებული სიტყვებით შეადგინეთ რთული სიტყვები.

პირველი სიტყვა გამოიყენეთ ნათესაობითი ბრუნვის ფორმით.







ხელი, გული ხელისგული და, შვილი _____
ვარდი, ფერი _____ გუთანი, დედა _____
ქინძი, თავი _____ თავი, უფალი _____
ბედი, წერა _____ ხევი, ბერი _____

⑤ დაწვილებული სიტყვებით შეადგინეთ კომპოზიტები.


პირველი სიტყვა გამოიყენეთ –თ(ა) სუფიქსიანი მრავლობითის ფორმით.

სიტყვა, შეხამება _____ გული, მისანი _____
საჭე, მპყრობელი _____ წელი, აღრიცხვა წელთაღრიცხვა
კაცი, მოყვარეობა _____ ახალი, ახალი _____

⑥ ნიმუშის მიხედვით დაწერეთ კომპოზიტები.



⑦ ა) შეადგინეთ სიტყვები, რომელთა პირველი ნაწილი იქნება „კეთილ“.



ბ) შეურჩიეთ სიტყვებს შესაბამისი მნიშვნელობები.

1. სრულიად სანდო _____
2. ვინმეს მიმართ კარგად განწყობილი _____
3. პატიოსანი _____
4. კაცთმოყვარე _____
5. სასიამოვნო ხმიანობის მქონე _____
6. სასიამოვნო მოსაგონებელი _____

⑧ გამოიყენეთ პირველ სავარჯიშოში შექმნილი სიტყვები და მათი მნიშვნელობების გათვალისწინებით შეურჩიეთ არსებითი სახელები:

პიროვნება, დამოკიდებულება, საქციელი, სიტყვა, გამომხაურება

პიროვნება _____ ჩემი უახლოესი მეგობარი კეთილსინდისიერი პიროვნებაა.

ტესტი



1. რომელია რთული სიტყვა?

ა) ღიმილი; ბ) გალობა; გ) ჭიკჭიკი.

2. რომელი რთული სიტყვაა მიღებული ორი არსებითი სახელის შეერთებით?

ა) კეთილგონიერი; ბ) შვილიშვილი; გ) ორსართულიანი.

3. რომელი რთული სიტყვაა მიღებული ზედსართავი და არსებითი სახელების შეერთებით?

ა) დედა-შვილი; ბ) დღეგრძელი; გ) სახელწოდება.

4. რომელია რთული არსებითი სახელისაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელი?

ა) დედაშვილური; ბ) ორჩაფიანი; გ) დღეგრძელობა.

5. რომელი რთული სიტყვაა მიღებული ფუძის გაორკეცვით?

ა) იისფერი; ბ) ცოლ-შვილი; გ) თუხთუხი.

6. რომელ ფუძეგაორკეცვულ კომპოზიტში შეიცვალა ბგერა?

ა) რაკრაკი; ბ) ლაპალუპი; გ) თავთავი.

7. რომელი კომპოზიტია მიღებული ფუძეთა შეერთებით?

ა) ფურირემი; ბ) ახალთახალი; გ) გულისწყრომა.

8. რომელი კომპოზიტია მიღებული ბრუნვის ფორმათა შეერთებით?

ა) მალაღმთიანი; ბ) ავადმყოფი; გ) ცხვირ-პირი.

ზმნისგან წარმოქმნილი სიტყვები

① ა) დაუსვით კითხვა ზმნისაგან წარმოქმნილ სიტყვებს.

მოიკალათა – მოკალათებული

ჩაქრება – ჩასაქრობი

მალღდება – ამალღებული

ბ) შეუწყვეთ არსებით სახელებს ზმნისაგან წარმოქმნილი სიტყვები.

მოკალათებული ბავშვი

② ა) დაწერეთ ერთი სიტყვით:

1. ის, რაც გამოსწორდა _____

2. ის, რაც უნდა გამოსწორდეს _____

3. ის, რაც უნდა გაიფანტოს _____

4. ის, რაც გამოიგონეს. _____

ბ) შეადგინეთ წინადადებები ნაწარმოები სიტყვების გამოყენებით.

③ აწარმოეთ რთული სიტყვები ზმნებისაგან.

1. გადავიდა, გადმოვიდა _____

2. გადადულდა, გადმოდულდა. _____

3. მიალაგა, მოალაგა. _____

4. ჩაარიგა, ჩამოარიგა. _____

① ა) წაიკითხეთ ტექსტი.

ქართული ენა მდიდარია. ჩვენს ენაში ვხედავთ სხვადასხვა ენის სიტყვებს: სპარსულს, არაბულს, ბერძნულს, სომხურს, თათრულს¹.

ხშირად ერთი და იმავე საგნის გამოსახატავად ჩვენ გვაქვს რამდენიმე სიტყვა – ზოგი ქართული და ზოგი უცხოური. უცხოური სიტყვებისთვის ჩაგვიდგამს ქართული სული და შეგვისხამს ქართული ხორცი. ამ ძალაუნებურ შეტაკებაში მაინც ძლევამოსილი დაჩრენილა ჩვენი დედაენა.

ერთ ჭიქა წყალში რამდენიმე წვეთი ღვინისა რომ ჩაურიოთ, უთუოდ ფერს უცვლის წყალს, მაგრამ რამდენიმე წვეთი წყალი რომ ერთ ყანწ ღვინოში ჩაურიოთ, ვერც ფერს დააკარგვინებს და ვერც ძალას. სწორეს ასე, წვეთ-წვეთად შემოსულა ზოგიერთი სიტყვა უცხოური ენიდან ჩვენს ენაში.

აკაკი წერეთელი

ბ) ტექსტის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. რომელი ენებიდან შემოსული სიტყვები მოიპოვება ქართულში? კიდევ რომელ ენებს დაასახელებთ?

2. როგორ უნდა გავიგოთ აკაკი წერეთლის ნათქვამი: „უცხოური სიტყვებისთვის ჩაგვიდგამს ქართული სული და შეგვისხამს ქართული ხორცი“?

3. რას ადარებს აკაკი წერეთელი ქართულ ენაში უცხოურ სიტყვათა შემოსვლასა და დამკვიდრებას?

¹ თათრული — აკაკი წერეთელი გულისხმობს თურქულ ენას.

② საზგასმულ სიტყვებს ჩაუნაცვლეთ: ორსრთულიანი, მისაღები ოთახი, სურათი, ავეჯი, მაგიდა, ხელთათმანები.

1. მხატვარი თუ დახატავდა ისეთ მშვენიერ კარტინკას. _____
2. ვიყიდე ატლასის სარტყელი და ფერჩატკები. _____
3. ორეტაჟიანი სახლი საუცხოოდ მოვანყვე. _____
4. ჩემს გულს არ ეკარებოდა მებელზე გადაკრული ხავერდი. _____
5. ალექსანდრემ შეიყვანა ქალები ზალაში, სადაც იდგა სტოლი. დაჯდა და აქეთ-იქით შემოისხა ისინი (ლავრენტი არდაზიანი). _____

③ ა) დააჯგუფეთ ნასესხები სიტყვები წარმომავლობის მიხედვით.

დესპანი (სპარს.), თეფში (თურქ.), დოვლათი (არაბ.), ნექტარი (ბერძნ.), ფეოდალი (ლათ.), თეორია (ბერძნ.), კომფორტი (ინგლ.), ლატარია (იტალ.), პლაშჩი (რუს.), პატივი (სპარს.), ხანჯალი (სპარს.), კაპიკი (რუს.), ხალხი (არაბ.), ფანტაზია (ბერძნ.), კიტელი (გერმ.), ეტაპი (ფრანგ.), ოთახი (თურქ.), ქალაქი (სპარს.), თამაში (არაბ.)

<p>სპასრული</p> <hr/> <hr/>	<p>თურქული</p> <hr/> <hr/>
<p>არაბული</p> <hr/> <hr/>	<p>ბერძნული</p> <hr/> <hr/>
<p>ლათინური</p> <hr/> <hr/>	<p>იტალიური</p> <hr/> <hr/>
<p>რუსული</p> <hr/> <hr/>	<p>გერმანული</p> <hr/> <hr/>

① ა) აღადგინეთ გამოტოვებული სიტყვები.

1. სამეტყველო ბგერებს შეისწავლის _____. ბგერის წერილობით ან ბეჭდურ ნიშნებს კი _____. 2. _____ არის მოძღვრება სიტყვის ფორმის შესახებ. 3. სიტყვის ფორმა შეიძლება შეცვალოს სართმა, რომელსაც სხვაგვარად _____ უწოდებენ. 4. ქართულში სართი ორგვარია: თავსართი ანუ _____ და ბოლოსართი ანუ _____.

ბ) თქვენ მიერ აღდგენილი სიტყვები ქართულია თუ უცხოური?

გ) თქვენი აზრით, რომელი პროფესიის ადამიანები იყენებენ ამ ლექსიკურ ერთეულებს?

② ა) წაიკითხეთ ტექსტი და ამოკრიბეთ მხატვრების პროფესიული ლექსიკონის დამახასიათებელი სიტყვები.

„მღებავი“ ნიკალა

ნიკო ფიროსმანაშვილი თვითნასწავლი მხატვარი იყო და განუმეორებელი ნახატები შექმნა. იგი უსახსრობის გამო თვითონ აკეთებდა საღებავებსაც და ფუნჯსაც. პალიტრის მაგივრობას თუნუქის ქილა უწევდა. საღებავების ფხვნილს სელის ზეთში ხსნიდა.

წარმოიდგინეთ, „მღებავი ნიკალა“ დგას ჩარჩოსმაგვარ ფიცართან, რომელზედაც შავი მუშამბაა გადაჭიმული. ხელში ფუნჯი უჭირავს და ხატავს. აი, გადაეფარა მაგიდას თეთრი სუფრა. ზედ აღმოცენდა ქართული ნატურმორტი (ბოთლები, ტიკები, ხელადები), ჯგუფური პორტრეტები, პეიზაჟები. ნიკალას პალიტრა მთავარი ფერებისაგან შედგება. მას არ უყვარს სურათის გადატვირთა და ტონების სიჭრელეს გაურბის.

ფიროსმანი ხატავდა თამარ მეფის, რუსთაველისა და სააკაძის პორტრეტებს. „მე პატრიოტი ვარ, – ამბობდა ნიკო, – მე ვიცნობ ჩემი ტანჯული ქვეყნის ისტორიას, ვიცნობ რუსთაველის პოემას, ვიცნობ და მიყვარს აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა. მე მათ ჩემებურად ვხატავ“.

ერთხელ ნიკო დიდუბეში იპოვეს. სარდაფში რომ შევიდნენ, გოცებულნი გაშემდნენ. თითქმის სიბნელეში, პატარა სარკმელთან ნავთქურა ბუუტავდა. მასზე მინები ელაგა. მხატვარი ჭვარტლს აგროვებდა შავი საღებავისთვის. ჭვარტლით იყო მოფენილი მთელი ოთახი, ჭვარტლი დაფრინავდა ჰაერში, ჭვარტლში იყო გახვეული ნიკოც (ილია ზდანევიჩის ნაამბობის მიხედვით).

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვა

① დაალაგეთ მსაზღვრელ-საზღვრული ბრუნვათა მიხედვით.

ა) მოტანილი ამბავი, მოტანილ ამბავს, მოტანილ ამბად, მოტანილი ამბის, მოტანილი ამბით, მოტანილო ამბავო, მოტანილმა ამბავმა

სახ. _____

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

ბ) გადაიყვანეთ საზღვრული სიტყვა მრავლობით რიცხვში და დააკვირდით, შეიცვლება თუ არა მსაზღვრელის სიტყვი.

სახ. _____

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

① დაალაგეთ მსაზღვრელ-საზღვრული ბრუნვათა მიხედვით.

ა) მოტანილი ამბავი, მოტანილ ამბავს, მოტანილ ამბად, მოტანილი ამბის, მოტანილი ამბით, მოტანილო ამბავო, მოტანილმა ამბავმა

სახ. _____

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

ბ) გადაიყვანეთ საზღვრული სიტყვა მრავლობით რიცხვში და დააკვირდით, შეიცვლება თუ არა მსაზღვრელის სიტყვი.

სახ. _____

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

ნათესაობითობრუნვიანი მსაზღვრელი

① აბრუნეთ:

სახ. _____ აბრეშუმის სამოსი _____ ლამის მდუმარება _____

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

② დაწერეთ რვეულში, რას უწოდებენ ჩამოთვლილი ცოცხალი არსებების მიერ გამოცემულ ხმებს.

ქათამის _____ კაკანი _____ დროხის _____

ბატის _____ თხის _____

ჩიტის _____ ღორის _____

მტრედის _____ ცხენის _____

კატის _____ ძაღლის _____

③ დააწყვილეთ არსებითი სახელები:

• ხარის	ნაქურჩალი	• ადამიანის	ქერცლი
• ქათმის	ჩენჩო	• თევზის	კანი
• ნივრის	ნაფცქვენი	• ხის	ბაკანი
• ლობოს	კანი	• კუს	ქერქი
• კვერცხის	ტყავი	• კაკლის	ფურჩი
• ხილის	ნაჭუჭი	• სიმინდის	ნაჭუჭი

④ ა) ამოიწერეთ ნათესაობით ბრუნვაში დასმული სიტყვები და მათთან დაკავშირებული არსებითი სახელები.

ბ) გაარკვიეთ ნათესაობით ბრუნვაში დასმული თითოეული არსებითი სახელის შინაარსობრივი ჯგუფი.

* * *

ღმერთო, მიმრავლე სათნოების დღე...
 შურზე, მტრობაზე ამაღლების დღე,
 მიმრავლე მტრებთან შერიგების დღე,
 საკუთარ თავთან შერკინების დღე,
 სხვათა ცოდვების გამართლების დღე,
 მიმრავლე შენთან შეხვედრების დღე,
 შენთვის ამქვეყნის შევედრების დღე,
 ღმერთო, მიმრავლე სათნოების დღე!

შოთა ნიშნიანიძე

გ) ნათესაობით ბრუნვაში დასმული სიტყვები გადაიყვანეთ სახელობითში და მათი გამოყენებით შეავსეთ კროსვორდი.

				ს	ა	თ	ნ	ო	ე	ბ	ა
				ი							
				კ							
				ე							
				თ							
				ე							

⑤ აბრუნეთ:

სახ. სამოს-ი აბრეშუმ-ის-ა მდუმარება ღამ-ის-ა

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

⑥ ფრჩხილებში ჩანერეთ იმ არსებითი სახელის ბრუნვა, რომელსაც ნათესაობითბრუნვიანი მსაზღვრელი ახლავს.

- 1) ქალთა ორგანიზაცია (_____) ქალებს იცავს ძალადობისაგან.
- 2) მაღაზია „ბავშვთა სამყაროს“ (_____) ვიტრინები ღამაზად არის გაფორმებული.
- 3) მოსწავლეთა სასახლემ (_____) მხატვრული კითხვის წრეში გაერთიანებული ბავშვები დააჯილდოვა.
- 4) მსახიობთა სახლის (_____) წინ კონცერტი გაიმართა.
- 5) მეტყვევთა კავშირს (_____) ახალი წევრები შეემატა.

მსაზღვრელ-საზღვრულის პრუნვათა ძველი ფორმები

① ა) გაასწორეთ თანამედროვე სალიტერატურო ენის მიხედვით მსაზღვრელ-საზღვრულის ძველი ფორმები.

1. ხმელი წიფელი უღრანს ტყეში ცხოვრობს.

2. ხმელს წიფელს სხვა ხეები შორს უდგანან.

3. გაფოთლილი ხეები ამაყად დასცქერიან ბეჩავს ხმელს წიფელს.

4. ხეები მორთულან მწვანის ფოთლით.

5. ისინი უჩვენებენ ხმელის წიფლის მიდამოს.

6. ბუ დაკოდლის ხმით მიჰყვება ძახილს.

ბ) შეარჩიეთ ერთ-ერთი წყვილი და აბრუნეთ.

სახ. _____

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

ნოდ. _____

რიცხვითი სახელი

① დაუსვით კითხვები რიცხვით სახელებს. მიუწერეთ, რას აღნიშნავს – საგნის რაოდენობას თუ რიგს.

პირველი _____

სამი _____

მეოთხე _____

შვიდასი _____

მეორე _____

ოთხმოცი _____

② იპოვეთ „ხმელ ნიფელში“ რიცხვითი სახელები და ჩაწერეთ ცხრილში.

რაოდენობითი	რიგობითი

③ აწარმოეთ რიგობითი რიცხვითი სახელები შემდეგი რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან. გამოყავით რიგობითის მანარმოებელი თავსართ-ბოლოსართები.

ცხრა მე-ცხრ-ე _____

ოცი _____

ექვსი _____

თერთმეტი _____

სამოცი _____

④ ა) დაწერეთ სიტყვებით შემდეგი რიცხვები. აწარმოეთ მათგან რიგობითი სახელები.

15 _____

27 _____

39 _____

42 _____

55 _____

68 _____

84 _____

⑤ გამოსახეთ რომაული და არაბული ციფრებით:

მეშვიდე VII, მე-7 _____

მეოცე _____

მეთოთხმეტე _____

მეთერთმეტე _____

ოცდამეერთე _____

ოცდამეხუთე _____

რიცხვითი სახელის ბრუნება სხვა სახელებთან ერთად

① დაწერეთ თქვენი კლასისა და საკლასო ოთახის შესახებ. გამოიყენეთ რიცხვითი სახელები.

ჩვენს კლასში ოცდაათი მოსწავლეა, აქედან თოთხმეტი გოგონაა, თექვსმეტი – ბიჭი.

② აბრუნეთ:

სახ. *ოცდაცხრა მოსწავლე* *მეექვსე კლასი*

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

③ აბრუნეთ:

სახ. *ას თექვსმეტი მოედანი* *ორას ოცდაცხრა მაღაზია*

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

**განუსაზღვრელი რაოდენობის გამომსახველი
რიცხვითი სახელები**

① დააჯგუფეთ რიცხვითი სახელები:

ათი, ცოტა, ბევრი, ოთხმოცდაცამეტი, მრავალი, მილიარდი, ნაკლები, ასევესი.

განსაზღვრული რაოდენობის რიცხვითი სახელები	განუსაზღვრელი რაოდენობის რიცხვითი სახელები
ათი	ცოტა

② აბრუნეთ:

სახ. ბევრი ნათესავი ათი მეგობარი

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები

① ა) აღადგინეთ გამოტოვებული პირის ნაცვალსახელები: მე, შენ, ის (იგი), მან, მას.

1. უგემრიელესი იყო ჩემი ეზოს ხაზარულა.

_____ პირადად ომის დროს გავიცანი.

2. სისხამ დილით ბებია გაძლიძა.

_____ ხელში სამართებელივით პირალესილი ნაჯახი ეჭირა.

3 _____ ხაზარულას გავხედე და სიცილი წამსკდა.

_____ მთელი სხეულით თრთოდა.

4. _____ გგონია გამიგონებს? – გამეცინა _____

ბ) დაწერეთ აღდგენილი პირის ნაცვალსახელები იმ სიტყვებთან ერთად, რომლებსაც უკავშირდება თითოეული მათგანი.

② შეუწყვეთ თითოეულ ზმნას ნაცვალსახელი, რომელიც მოქმედ პირს აღნიშნავს. ნაცვალსახელებს ფრჩხილებში მიუწერეთ არსებითი სახელები შესაბამისი ბრუნვის ფორმით.

მე (ადამიან-მა) _____ გითხარი

_____ ამბობთ

_____ ვართ

_____ მოვჭერი

_____ გეშინია

_____ ვიგონებ

_____ თრთით

_____ ისმენ

_____ გავიცინე

_____ გამიკვირდა

⑧ ა) არსებითი სახელების ჩანაცვლებით გაარკვიეთ, რომელი ბრუნვის ფუნქციით არის გამოყენებული პირის ნაცვალსახელები.

1. რა გითხარი მე შენ?! – თქვა კოპებშეკრულმა ბებიამ.

ნიმუში: რა გითხარი მე (ბებიამ) შენ (შვილიშვილს)?!

2. ნუ ლაზღანდარობ, შე მამაძაღლო, საქმეს მიხედე!

3. ვდგები, – ვთქვი მე და ჩაცმა დავინყე.

4. ხეს რომ დაველაპარაკე, მე მაშინ 14 წლისა ვიყავი.

④ დიალოგში გამოტოვებული პირის ნაცვალსახელები დაწერეთ სათანადო ფორმით. თითოეულ ნაცვალსახელს მიუწერეთ შესაბამისი ბრუნვა.

– ეს ნიშანი _____ დაუსვით? – მკითხა. _____

– დიახ, _____ – მეთქი, – ვუპასუხე. _____

– მერე რადა, რომ არაფერი იცის?

– _____ რომ ვკითხე, იცოდა. _____

– _____ შეჩვენებულო, რა ქენი ეგა, აკი იცოდი? – დავეკითხე ჩუმად, კუთხეში რომ გავედით. _____

– ახლაც ვიცი, – მიპასუხა ტირილით (აკაკი წერეთელი).

⑤ თქვენი აზრით რა გამოხატა ავტორმა სიტყვით „გახლდათ“ წინადადებაში: „ხე ვაშლისა გახლდათ და სახელად ხაზარულა ერქვა“.

⑥ გამოიყენეთ წინადადებებში II პირისადმი თავაზიანი დამოკიდებულების აღმნიშვნელი სიტყვები: მობრძანდით, ჭამეთ, დასხედით, მოდი, აილე, დაბრძანდით, ხართ, ინებეთ, ვარ, გინდათ, გახლავთ, გნებავთ.

⑦ ფრჩხილებში მოცემული სიტყვებიდან რომელს გამოიყენებთ თავაზიანი მიმართვის პასუხად.

1. ვინ ბრძანდებით? მე _____ ექიმი (ვბრძანდები, გახლავართ).
2. რას ინებებთ? მე ყავას _____ (მივირთმევ, გეახლებით).
3. თუ შეიძლება მიბოძეთ ჩემი ჩანთა. ახლავე, _____ (ინებეთ, იბოძეთ).

ტესტი



1. რომელ წინადადებაშია პირის ნაცვალსახელი მიცემით ბრუნვაში?

- ა) მე ავაშენე; ბ) მე მომშივდა;
გ) მე შევიცანი; დ) მე შევცბი.

2. რომელ წინადადებაშია პირის ნაცვალსახელი სახელობით ბრუნვაში?

- ა) მე გავახარე; ბ) მე მგონია.
გ) მე გავუმასპინძლდი; დ) მე მყავს.

3. რომელი თანდებულებიანი ნაცვალსახელია მიცემით ბრუნვაში?

- ა) ჩემგან; ბ) ჩემამდე; გ) ჩემთვის; დ) ჩემთან.

4. რომელი ნაცვალსახელით შეიძლება გამოიხატოს ერთდროულად ორი პირი: მე და შენ?

- ა) ის; ბ) ისინი; გ) თქვენ; დ) ჩვენ.

5. რომელი ნაცვალსახელით შეიძლება გამოიხატოს ერთდროულად ორი პირი: მე და ის?

- ა) ისინი; ბ) თქვენ; გ) მათ; დ) ჩვენ.

6. რომელია თანდებულებიანი ნათესაობითი?

- ა) შენზე; ბ) შენსავით; გ) შენკენ; დ) შენთან.

მესამე პირის ნაცვალსახელები

① აბრუნეთ:

სახ. _____ ის _____ ევ _____ იგივე _____

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

② აღადგინეთ მესამე პირის ნაცვალსახელები სათანადო ფორმით.

ეს შრომობს. _____ შრომობენ.

ის ერთობა. _____ ერთობიან.

ამან დაიწყო. _____ დაიწყეს.

მაგან განაგრძო. _____ განაგრძეს.

მაგას შია. _____ შიათ.

იმას სწყურია. _____ სწყურიათ.

ტესტი



1. რომელ არსებით სახელს ჩაენაცვლება ნაცვალსახელი – მას?

ა) სახლი; ბ) სახლმა; გ) სახლს; დ) სახლის.

2. რომელ წინადადებაშია პირის ნაცვალსახელი მოთხრობით ბრუნვაში?

ა) მათ მოისურვეს; ბ) მათ სურთ;
გ) მათ უფრთხიან; დ) მათ უხარიათ.

3. რომელია მოთხრობითი ბრუნვის ფორმა?

ა) მათ უყვართ; ბ) მათ მოისმინეს;
გ) მათ სურთ; დ) მათ მოუსმენიათ.

4. რომელი ფორმაა არასწორი?

ა) იგივე; ბ) იგივემ; გ) იმასვე; დ) იმადვე.

5. რომელი ნაცვალსახელი იცვლის ფუძეს ბრუნებისას?

ა) იგი; ბ) ვინ; გ) რამდენი? დ) ჩვენ.

ჩვენებითი ნაცვალსახელები

① დაწერეთ, რომელ წინადადებაშია ჩვენებითი ნაცვალსახელი, რომელში – პირის?

1. ის ამბავი ყველამ იცოდა. _____

2. ის ამაყად იდგა ეზოში. _____

3. ეგ ღვინო დამისხი. _____

4. ნამდვილად ამას გადაურევია ბიჭი! _____

② მიუწერეთ, საგნის რომელ პირთან სიახლოვეზე მიუთითებს ჩვენებითი ნაცვალსახელი II თუ III პირთან.

ის წიგნი _____ / პირთან _____ ასეთი საქონელი _____

ეს წიგნი _____ ისეთი საქონელი _____

ეს ადამიანი _____ ამნაირი ეზო _____

ის ადამიანი _____ მაგნაირი ეზო _____

③ აბრუნეთ:

სახ. _____ *ამნაირ-ი* _____ *იმდენ-ი* _____

მოთხრ. _____

მიც. _____

ნათ. _____

მოქმ. _____

ვით. _____

წოდ. _____

